სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

19 დეკემბერი 2023

MRDI-RD N 2-15/20417

მოქალაქე ნაზიბროლა რეხვიაშვილს
ელექტრონული მისამართი: editorrekhviashvili@gmail.com
ტელ: 577 200001

ქალბატონო ნაზიბროლა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2023 წლის 4 დეკემბერს შემოვიდა თქვენი განცხადება (დეპარტამენტში რეგისტრაციის №39317/2) (შემდგომში - განცხადება), რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციის მიწოდებას.

დეპარტამენტმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

დეპარტამენტსა და კომპანია „Sinohydro Corporation Limited"-ს შორის 2020 წლის 9 ოქტომბერს გაფომებული №BARP/CW/ICB-01/01 Lot I ხელშეკრულებით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ 85 - კმ 110 ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთის (საპროექტო მონაკვეთი კმ 5+195 - კმ29+732) რებილიტაცია/რეკონსტრუქციის ფარგლებში 2023 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა ფერდობების ექსკავაცია, საყრდენი კედლების, დიამეტრალური და ოთხკუთხა წყალგამტარი მილების მოწყობა. ამასთან, გაცნობებთ რომ ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიისათვის მთლიანად გადახდილი თანხა შეადგენს 17 020 314 .81 ლარს დღგ-ის ჩათვლით.

დეპარტამენტსა და კომპანია ,,Sinohydro Corporation Limited"-ს შორის 2020 წლის 9 ოქტომბერს გაფომებული №BARP/CW/ICB-01/01 Lot II ხელშეკრულებით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ 110 - კმ 127 გოდერძის უღელტეხილი-ზარზმას მონაკვეთზე (საპროექტო მონაკვეთი კმ 0+000 - კმ 17+380) რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების ფარგლებში 2023 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით მოწყობილია საყრდენი კედლები, დიამეტრალური და ოთხკუთხა მილები, აშენებულია 4 ახალი სახიდე გადასასვლელი, ასფალტ-ბეტონის საფარი მოწყობილია 15.8 კმ სიგრძის მონაკვეთზე, დამონტაჟებულია საგზაო ნიშნები და თვალამრიდი ძელების ნაწილი. თოვლის წმენდის პარალელურად, მიმდინარეობს თვალამრიდი ძელების მონტაჟი, მიერთებებისა და სხვა სახის საგზაო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ელემენტების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიისათის ანაზღაურებული თანხის ოდენობა შეადგენს 29 355 798.73 ლარს დღგ-ის ჩათვლით.

დეპარტამენტსა და შპს „არალს" შორის 2023 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. N76-23 ხელშეკრულებით (NAT230013384) გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულოზარზმის მონაკვეთის, ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ5+195-კმ29+732 (ლოტი 1.2) მონაკვეთში: 1. - კმ11+500-კმ11+555 და კმ11+650-კმ11+705 (არსებული გზის კმ93+000-კმ93+055 და კმ93+150-კმ93+205); 2. - კმ11+760-კმ11+890 (არსებული გზის კმ93+260-კმ93+390); 3. - კმ11+890-კმ12+010 (არსებული გზის კმ93+390- კმ93+510); 4. - კმ17+380-კმ17+530 (არსებული გზის კმ98+880-კმ99+030); 5.- კმ19+690-კმ19+850 და კმ19+915- კმ19+970 (არსებული გზის კმ101+190-კმ101+350 და კმ101+415-კმ101+470); 6. კმ20+040-კმ20+220 (არსებული გზის კმ101+540-კმ101+720) განვითარებული მეწყრული პროცესების შედეგად ჩამოშლილი ფერდობის აღდგენის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების ფარგლებში 2023 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით მე-11 და მე-19

კმ-ზე მოეწყო საყრდენი კედლის ფუნდამენტები და მიმდინარეობს რკინა-ბეტონის კედლისთვის ქარგილის მონტაჟის სამუშაოები.

დეპარტამენტსა და შპს „არალს“ შორის 2022 წლის 1 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №78-22 ხელშეკრულებით (NAT220008492) გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის 1. კმ 124+231 - კმ 124+276; 2. კმ 125+800 - კმ 126+000; 3. კმ 127+700 - კმ 128+350 მონაკვეთებზე განვითარებული მეწყრული პროცესების შედეგად ჩამოშლილი ფერდების აღდგენის სამუშაოების ფარგლებში 2023 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა ფერდობის ექსკავაციის სამუშაოები.

დეპარტამენტსა და შპს „ჯავახავტოგზა”-ს შორის 2022 წლის 9 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №102 – 22 ხელშეკრულებით (NAT 220010892) გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ135- კმ139 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების 53% შესრულებულია.

დეპარტამენტსა და შპს „გზა“-ს შორის 2022 წლის 15 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №89-22 ხელშეკრულებით (NAT220009359) გათვალისწინებული შისასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი(ანგისა)-ახალციხის ს/გზის კმ59-კმ68 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების 55.79% შესრულებულია.

დეპარტამენტსა და შპს „ერ ტე დე“-ს შორის 2022 წლის 13 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №71 – 22 ხელშეკრულებით (NAT220007551) გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ4+100 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების 72,51% - შესრულებულია.

დეპარტამენტსა და შპს „ჯავახავტოგზა”-ს შორის 2022 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. № 107 – 22 ხელშეკრულებით (NAT220011435) გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ143- კმ146 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.

დეპარტამენტსა და შპს „ნიუ როად“-ს შორის 2022 წლის 24 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №62 – 22 ხელშეკრულებით (NAT220004712) გათვალისწინებული შისასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-1) ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის ლოტი 1.1 ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ0+000 - კმ4+007 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილატიო სამუშაოები დასრულებულია.

აღსანიშნავია, რომ ხულო-გოდერძის უღელტეხილის და გოდერძის უღელტეხილი-ზარზმას მონაკვეთებზე რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2024 წელს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია ხელმისაწვდომია და შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ლინკზე: http://www.procurement.gov.ge.

პატივისცემით,

ლიკა ჩქოფოია

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური